



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

„რომის ლა საპიენცას“ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით
2018 წლის 15 მაისს
ატარებს ერთობლივ
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას - თემაზე:
„სამხრეთ კავკასია საერთაშორისო არენაზე:
რეგიონში არაფრის მომცემი თამაშის გადალაგვის გზები“

www.law@gtu.ge

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„სამხრეთ კავკასია საერთაშორისო არენაზე: რეგიონში არაფრის მომცემი თამაშის გადალაგვის გზები“

2018 წლის 15 მაისს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, იტალიის რომის საპიენცას უნივერსიტეტთან (Sapienza University of Rome) თანამშრომლობით, ატარებს ერთობლივ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას „სამხრეთ კავკასია საერთაშორისო არენაზე: რეგიონში არაფრის მომცემი თამაშის გადალაგვის გზები“.

საკონფერენციო ნაშრომები მიიღება, ძირითადად, შემდეგი მიმართულებებით:

- ძველი და ახალი გეოპოლიტიკური მოთამაშეები სამხრეთ კავკასიაში: ზეგავლენა, მშვიდობის უზრუნველყოფა და რისკის შემცირება;
- ლტოლვილების ინსტრუმენტალიზაცია სამხრეთ კავკასიაში;
- ადამიანის უფლებათა დაცვა და ეკონომიკური განვითარება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში.

კონფერენციის სამუშაო ენებია ქართული და ინგლისური.

მოთხოვნები კონფერენციაში მონაწილეობასთან დაკავშირებით:

- კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აკადემიური წრის წარმომადგენლებს და დოქტორანტებს, საერთაშორისო ურთიერთობების

მიმართულებით; მაგისტრატურის სტუდენტებს მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პროფესორის ხელმძღვანელობით;

- კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა პირველ ეტაპზე უნდა გააგზავნონ სამეცნიერო ნაშრომის თეზისები, ქართულ და ინგლისურ ენებზე (მაქსიმუმ 2 გვერდი), 2018 წლის 5 აპრილამდე;
- საკონფერენციო ნაშრომი ქართულ ან ინგლისურ ენაზე უნდა გაიგზავნოს 2018 წლის 20 აპრილამდე;
- ნაშრომი შეიძლება იყოს შესრულებული ერთი ან ორი ადამიანის მიერ;
- თეზისები და ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნების დაცვით:
 - ძირითადი ტექსტისა და სქოლიოების შრიფტი - Sylfaen (ქართ.) და Sylfaen (ლათ.);
 - ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა - 11, სქოლიოების ტექსტის შრიფტის ზომა - 9;
 - სქოლიოები უნდა იყოს განთავსებული ყოველი გვერდის ბოლოს;
 - ნაშრომს უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
 - ინტერვალი-1.1, გვერდების საზღვრები -1.9

კონფერენციის მონაწილეებს გადაეცემათ სათანადო სერტიფიკატები.

თეზისები და ნაშრომები უნდა გაიგზავნოს ელ.ფოსტაზე: law@gtu.ge

ტელ.: 598 33 22 05